საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №567

თბილისი „14“ 06 2018 წ

2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადის განსაზღვრისა და 2018 წლის ზაფხულში ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 42-ე მუხლის მე-2, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის, მე-6 და მე-11 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 13 ივნისის N706020 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამის შევსების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 15 ივნისი.

2. 2018 წლის ზაფხულში ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა/სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადა დადგინდეს 2018 წლის 18 ივნისიდან 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მიხეილ ჩხენკელი
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი